



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 64

2019 წლის 31 მაისი

ქ. თბილისი

2019 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის ფარგლებში
წარმოდგენილი საგრანტო პროექტების მოხსნის შესახებ

“ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 13 ოქტომბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის, „2019 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2019 წლის 20 მარტის N29 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2019 წლის 31 მაისი სამსახურებრივი ბარათის (N673607) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. 2019 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსიდან კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოიხსნას საგრანტო პროექტები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ზვიად გაბისონია

დამტკიცებულია
 სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
 სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
 2019 წლის 31 მაისი N64 ბრძანებით

ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტის 2019 წლის კონკურსიდან მოხსნილი პროექტები

№	პროექტის შიფრი	მასპინძელი დაწესებულება	პროექტის სათაური	დადგენილი შეუსაბამობა
1	YS-19-2511	დამოკიდებულების კვლევითი ცენტრი - ალტერნატივა ჯორჯია	საქართველოში კანაფის მოხმარების კვლევა	დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 13 ოქტომბრის №135/ნ ბრძანების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტი და კონკურსის პირობების მე-3 მუხლის პირველი პუნქტი
2	YS-19-2892	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	რას ზომავს ტესტი? მეოთხეკლასელთა ექსპერიმენტული კვლევა	დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 13 ოქტომბრის №135/ნ ბრძანების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტი და კონკურსის პირობების მე-3 მუხლის პირველი პუნქტი